აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 4 | 1 მარტი 2021

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (09-01-08/7, 25.02.2021)

გამარტივებული წესით განხილვა

დასახელება

უმაღლესი საბჭოს წევრები:	*უმაღლესი საბჭოს წევრები:*
დავით გაბაიძე	*დავით გაბაიძე*
ვლადიმერ მგალობლიშვილი	*ვლადიმერ მგალობლიშვილი*
ავტორი	ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

წამყვანი *კომიტეტი*

25.02.2021 წელი	წამყვანი კომიტეტი - 17.03.2021 სხვა კომიტეტები -12.03.2021	საგაზაფხულო სესია
უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენის თარიღი	კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი	სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი

კომიტეტები, რომელთა დასკვნები სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — დავით გაბაიძე

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №37

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ გიორგი ბერიძეს

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 84-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოვადგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავ თხოვნით წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

გთხოვთ, რეგლამენტის პროექტს მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: -16- ფურცელი

პატივისცემით,

01-01-08/7
25 02 2021
17 ფურცელი

დავით გაბაიძე

ვლადიმერ მგალობლიშვილი

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

რეგლამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10.04.2019, სარეგისტრაციო კოდი: 010240080.51.056.016040) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-9 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის „გ.ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.ბ) შეუხერხებლად შევიდეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა;";

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. უმაღლესი საბჭოს თანამდებობის პირი ვალდებულია შეუფერხებლად მიიღოს უმაღლესი საბჭოს წევრი მისი მოთხოვნით.".

2. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარის 2^1 პუნქტი:

„2^1. უმაღლესი საბჭოს წევრს შეიძლება ჰყავდეს თანაშემწე.".

3. მე-17 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უმაღლსი საბჭოს ყოფილი წევრის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში დაუბრკოლებლად შესვლის საკითხს განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.".

4. 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „კ" და „ო" ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

5. 88-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 88. წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენილი კანონპროექტების განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. წამყვანი კომიტეტი ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომიდან 6 თვეში ადგენს წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენილ იმ კანონპროექტთა ნუსხას, რომელთა განხილვის პროცედურის გაგრძელებაც მიზანშეწონილად მიაჩნია, და მას წარუდგენს უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

2. უმაღლესი საბჭოს ბიურო წამყვანი კომიტეტის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შედგენილ კანონპროექტთა ნუსხას გადასცემს უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს. უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი წამყვანი კომიტეტის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შედგენილი კანონპროექტთა ნუსხების მიხედვით შეიმუშავებს და უმაღლეს საბჭოს წარუდგენს წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენილი კანონპროექტების განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს.

3. უმაღლესი საბჭო დადგენილებით იღებს გადაწყვეტილებას წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარდგენილი კანონპროექტების განხილვის პროცედურის

გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ. ის კანონპროექტი, რომელიც ამ დადგენილებით გათვალისწინებული არ იქნება, უმაღლესი საბჭოდან გათხოვილად ჩაითვლება. უმაღლესი საბჭოდან გათხოვილად ჩაითვლება აგრეთვე ის კანონპროექტი, რომლის ინიციატორადაც ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ჩაითვალა კანონპროექტის განმხილველი წამყვანი კომიტეტი, მაგრამ აღნიშნულ კომიტეტს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, არ აქვს ასეთი კანონპროექტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენის უფლება.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე უმაღლესი საბჭოს მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დადგენილების მიღებიდან 1 თვის ვადაში წარუდგენს უმაღლეს საბჭოს თანხმობას ან უარს მის მიერ წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენილი, აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული კანონპროექტის განხილვის პროცედურაში ამ კანონპროექტის ინიციატორად მონაწილეობის გაგრძელებაზე. უმაღლესი საბჭოს კომიტეტი ასეთ თანხმობას ან უარს იმავე ვადაში წარუდგენს მის მიერ წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენილი, აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული კანონპროექტის განმხილველ წამყვან კომიტეტს, თუ იგი სხვა კომიტეტია. მიმდინარე მოწვევის უმაღლესი საბჭოს წევრი ამგვარ თანხმობას ან უარს იმავე ვადაში წარუდგენს მის მიერ წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენილი, აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული კანონპროექტის განმხილველ წამყვან კომიტეტს. თუ ამ პუნქტით განსაზღვრული სუბიექტი არ წარადგენს ზემოაღნიშნულ თანხმობას ან უარს, ითვლება, რომ იგი უარს ამბობს შესაბამისი კანონპროექტის განხილვის პროცედურაში ამ კანონპროექტის ინიციატორად მონაწილეობის გაგრძელებაზე. წამყვანი კომიტეტი ამ პუნქტით გათვალისწინებული თანხმობის ან უარის მისთვის წარდგენის ან წარუდგენლობის შესახებ ინფორმაციას წარუდგენს უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული უმაღლესი საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებული კანონპროექტის ინიციატორად ჩაითვლება:

ა) კანონპროექტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმდგენი სუბიექტი, თუ:

ა.ა) მან ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განაცხადა თანხმობა აღნიშნული კანონპროექტის განხილვის პროცედურაში მის ინიციატორად მონაწილეობის გაგრძელებაზე;

ა.ბ) კანონპროექტი საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილია ამომრჩეველთა მიერ;

ბ) კანონპროექტის განმხილველი წამყვანი კომიტეტი, თუ:

ბ.ა) კანონპროექტი საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ან უმაღლესი საბჭოს კომიტეტის მიერ და მან ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად წარადგინა/თქვა უარი აღნიშნული კანონპროექტის განხილვის პროცედურაში მის ინიციატორად მონაწილეობის გაგრძელებაზე;

ბ.ბ) კანონპროექტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმდგენი წინა მოწვევის უმაღლესი საბჭოს არცერთი წევრი აღარ არის მიმდინარე მოწვევის უმაღლესი საბჭოს წევრი ან მიმდინარე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ყველა იმ წევრმა, რომელმაც ეს კანონპროექტი საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარუდგინა წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოს, ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად წარადგინა/თქვა უარი აღნიშნული კანონპროექტის განხილვის პროცედურაში მის ინიციატორად მონაწილეობის გაგრძელებაზე;

ბ.გ) კანონპროექტი საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილია ფრაქციის მიერ.

6. ამ მუხლით განსაზღვრული წესები ვრცელდება უმაღლესი საბჭოს იმ დადგენილების პროექტზედაც, რომელიც უმაღლეს საბჭოს კანონპროექტის წარდგენისათვის რეგლამენტით დადგენილი წესით წარედგინება.

7. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება ამ რეგლამენტის XII თავით გათვალისწინებულ კანონის პროექტებზე.“.

6. 107-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეი რედაქციით:

„მუხლი 107. უმაღლესი საბჭოს წევრთა მიერ ინიციირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის პროექტები

უმაღლესი საბჭოს ბიურო უმაღლესი საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტის მიერ წარდგენილ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის პროექტებს ხელმოწერების ნამდვილობის შემოწმების მიზნით გადასცემს უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს, რომელიც 1 კვირის ვადაში ამოწმებს მას და შედეგებს წარუდგენს უმაღლესი საბჭოს ბიუროს.“.

7. 138-ე მუხლის მე-7 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

8. 147-ე მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი არის უმაღლესი საბჭოს თანამდებობის პირი.“.

9. 155-ე მუხლის:

ა) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 პუნქტი:

„5^1. უმაღლესი საბჭოს იმ წევრის ეთიკის საბჭოში წარდგენა, რომელიც არ არის გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში, ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, უმაღლესი საბჭოს წევრის პირადი განცხადების საფუძველზე.“;

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. უმაღლესი საბჭოს ბიურო ცნობად იღებს ეთიკის საბჭოს შემადგენლობას, რაც ფორმდება უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებით.“.

10. 156-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგად არჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, ეთიკის საბჭოში უმაღლესი საბჭოს იმ ფრაქციის წევრთა რაოდენობა, რომელსაც ჰყავს ყველაზე მეტი წევრი შესაძლებელია აჭარბებდეს ეთიკის საბჭოს წევრთა რაოდენობის ნახევარს.“.

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ბათუმი,
2021 წლის
№

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ:

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი;

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსი განსაზღვრულია, როგორც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი. პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის წევრისთვის განსაზღვრულია შეუფერხებლად ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში შესვლა, გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა. ამასთანავე პარლამენტის თანამდებობის პირი ვალდებულია შეუფერხებლად მიიღოს პარლამენტის წევრი მისივე მოთხოვნით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პარლამენტის წევრის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის გათვალისწინებით მიზანშეწონილია უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ხსენებული საკითხების საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის იდენტურად დარეგულირება.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში შესაძლებლობას იძლევა, რომ სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობის პირს საკუთარი უფლებამოსილების ვადით ჰყავდეს თანაშემწე. კანონის აღნიშნული დაშვებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი არის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი მიზანშეწონილია უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე შესაბამისი ნორმის დამატება.

უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრულია უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრის უმაღლესი საბჭოს შენობაში შესვლასთან დაკავშირებული საკითხი, თუმცა ნორმის უკეთ ფორმულირებისა და ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, მიზანშეწონილია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რეგლამენტში გაკეთდეს ჩანაწერი, რომ მისი დეტალური დარეგულირება ხდება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, გათვალისწინებულია უმაღლესი საბჭოს დაფინანსების განსაკუთრებული წესი, რომლის თანახმადაც უმაღლესი საბჭო დადგენილებით განსაზღვრავს მომავალი წლის საკუთარი ბიუჯეტის პროექტს. უმაღლესი საბჭოს აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, შესაბამისი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო დაფინანსება. საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად, ავტონომიური რესპუბლიკის მხარჯავი დაწესებულებები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში საფინანსო ორგანოს წარუდგენენ ინფორმაციას მათთვის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების კვარტალური ან/და ყოველთვიური საორიენტაციო განწერის შესახებ იმ ასიგნებების ფარგლებში რაც დამტკიცებულია შესაბამისი ბიუჯეტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეუწონლად მიგვაჩნია უკვე კანონით დამტკიცებული ასიგნებების კვარტალური ან/და ყოველთვიური საორიენტაციო განწერის უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ დამტკიცება, მასში ცვლილებების შეტანა,

რადგან მას არანაირი სამართლებრივი დატვირთვა არ გააჩნია, გარდა იმისა, რომ ქმნის დამატებით ბიუროკრატიულ მექანიზმს აღნიშნულ პროცესში.

უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის თანახმად, უმაღლეს საბჭოში საფინანსო საქმიანობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის და ხაზინადართა საბჭოს მეშვეობით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სათათბირო ორგანოს. უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის თანახმად, ხაზინადართა საბჭოს გადაწყვეტილებები უნდა დაამტკიცოს უმაღლესი საბჭოს ბიურომ. ვფიქრობთ ხაზინადართა საბჭოს ყველა გადაწყვეტილების მიმართ აღნიშნული არ შეიძლება გამომდინარეობდეს ობიექტური საჭიროებებიდან და მიზანშეწონილია, რომ უმაღლესი საბჭოს ბიურომ დაამტკიცოს, მხოლოდ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით პირდაპირ განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით გათვალისწინებული ხაზინადართა საბჭოს გადაწყვეტილებები.

უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებულია წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში ინიცირებული კანონპროექტების განხილვის წესი, თუმცა არის საკითხები რომელიც საჭიროებს უფრო მეტ დეტალიზებას. შესაბამისად, აღნიშნული მუხლი ახალი რედაქციით ყალიბდება.

პროექტით გათვალისწინებულია რეგლამენტის 107-ე მუხლში რედაქციული ხასიათის ცვლილების განხორციელება.

რეგლამენტის პროექტით ასევე გათვალისწინებულია ეთიკის საბჭოში უმაღლესი საბჭოს ფრაქციის წევრთა რაოდენობასთან დაკავშირებით გარდამავალი ნორმის შემოღება, რომელიც ნაკარნახევია უმაღლესი საბჭოს წევრთა შემადგენლობაში არსებული პრაქტიკული ვითარებით.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი;

პროექტის მიზანია, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული საკითხების დახვეწა მათი პრაქტიკაში უკეთ რეალიზების თვალსაზრისით.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის არსი;

რეგლამენტის პროექტით:

ა) მე-9 მუხლის:

ა.ა) მე-2 პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

გ.ბ) შეუფერხებლად შევიდეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა;

ა.ბ) მე-4 პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

4. უმაღლესი საბჭოს თანამდებობის პირი ვალდებულია შეუფერხებლად მიიღოს უმაღლესი საბჭოს წევრი მისი მოთხოვნით;

ბ) მე-12 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარის 2^1 პუნქტი:

2^1. უმაღლესი საბჭოს წევრს შეიძლება ჰყავდეს თანაშემწე;

გ) მე-17 მუხლის პირველი პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

1. უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში დაუბრკოლებლად შესვლის საკითხს განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით;

დ) 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ და „ო“ ქვეპუნქტები ამოღებული იქნება;

ე) 88-ე მუხლი ყალიბდება ახალი რედაქციით:

მუხლი 88. წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენილი კანონპროექტების განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. წამყვანი კომიტეტი ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომიდან 6 თვეში ადგენს წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენილ იმ კანონპროექტთა ნუსხას, რომელთა განხილვის პროცედურის გაგრძელებაც მიზანშეწონილად მიაჩნია, და მას წარუდგენს უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

2. უმაღლესი საბჭოს ბიურო წამყვანი კომიტეტის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შედგენილ კანონპროექტთა ნუსხას გადასცემს უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს. უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი წამყვანი კომიტეტის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შედგენილი კანონპროექტთა ნუსხების მიხედვით შეიმუშავებს და უმაღლეს საბჭოს წარუდგენს წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენილი კანონპროექტების განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს.

3. უმაღლესი საბჭო დადგენილებით იღებს გადაწყვეტილებას წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარდგენილი კანონპროექტების განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ. ის კანონპროექტი, რომელიც ამ დადგენილებით გათვალისწინებული არ იქნება, უმაღლესი საბჭოდან გათხოვილად ჩაითვლება. უმაღლესი საბჭოდან გათხოვილად ჩაითვლება აგრეთვე ის კანონპროექტი, რომლის ინიციატორადაც ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ჩაითვალა კანონპროექტის განმხილველი წამყვანი კომიტეტი, მაგრამ აღნიშნულ კომიტეტს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, არ აქვს ასეთი კანონპროექტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენის უფლება.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე უმაღლესი საბჭოს მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დადგენილების მიღებიდან 1 თვის ვადაში წარუდგენს უმაღლეს საბჭოს თანხმობას ან უარს მის მიერ წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენილი, აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული კანონპროექტის განხილვის პროცედურაში ამ კანონპროექტის ინიციატორად მონაწილეობის გაგრძელებაზე. უმაღლესი საბჭოს კომიტეტი ასეთ თანხმობას ან უარს იმავე ვადაში წარუდგენს მის მიერ წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენილი, აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული კანონპროექტის განმხილველ წამყვან კომიტეტს, თუ იგი სხვა კომიტეტია. მიმდინარე მოწვევის უმაღლესი საბჭოს წევრი ამგვარ თანხმობას ან უარს იმავე ვადაში წარუდგენს მის მიერ წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენილი, აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული კანონპროექტის განმხილველ წამყვან კომიტეტს. თუ ამ პუნქტით განსაზღვრული სუბიექტი არ წარადგენს ზემოაღნიშნულ თანხმობას ან უარს, ითვლება, რომ იგი უარს ამბობს შესაბამისი კანონპროექტის განხილვის პროცედურაში ამ კანონპროექტის ინიციატორად მონაწილეობის გაგრძელებაზე. წამყვანი კომიტეტი ამ პუნქტით გათვალისწინებული თანხმობის ან უარის მისთვის წარდგენის ან წარუდგენლობის შესახებ ინფორმაციას წარუდგენს უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული უმაღლესი საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებული კანონპროექტის ინიციატორად ჩაითვლება:

ა) კანონპროექტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმდგენი სუბიექტი, თუ:

ა.ა) მან ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განაცხადა თანხმობა აღნიშნული კანონპროექტის განხილვის პროცედურაში მის ინიციატორად მონაწილეობის გაგრძელებაზე;

ა.ბ) კანონპროექტი საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილია ამომრჩეველთა მიერ;

ბ) კანონპროექტის განმხილველი წამყვანი კომიტეტი, თუ:

ბ.ა) კანონპროექტი საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ან უმაღლესი საბჭოს კომიტეტის მიერ და მან ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად წარადგინა/თქვა უარი აღნიშნული კანონპროექტის განხილვის პროცედურაში მის ინიციატორად მონაწილეობის გაგრძელებაზე;

ბ.ბ) კანონპროექტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმდგენი წინა მოწვევის უმაღლესი საბჭოს არცერთი წევრი აღარ არის მიმდინარე მოწვევის უმაღლესი საბჭოს წევრი ან მიმდინარე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ყველა იმ წევრმა, რომელმაც ეს კანონპროექტი საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარუდგინა წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოს, ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად წარადგინა/თქვა უარი აღნიშნული კანონპროექტის განხილვის პროცედურაში მის ინიციატორად მონაწილეობის გაგრძელებაზე;

ბ.გ) კანონპროექტი საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილია ფრაქციის მიერ.

6. ამ მუხლით განსაზღვრული წესები ვრცელდება უმაღლესი საბჭოს იმ დადგენილების პროექტზედაც, რომელიც უმაღლეს საბჭოს კანონპროექტის წარდგენისათვის რეგლამენტით დადგენილი წესით წარედგინება.

7. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება ამ რეგლამენტის XII თავით გათვალისწინებულ კანონის პროექტებზე;

ვ) 107-ე მუხლი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

მუხლი 107. უმაღლესი საბჭოს წევრთა მიერ ინიცირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის პროექტები

უმაღლესი საბჭოს ბიურო უმაღლესი საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტის მიერ წარდგენილ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის პროექტებს ხელმოწერების ნამდვილობის შემოწმების მიზნით გადასცემს უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს, რომელიც 1 კვირის ვადაში ამოწმებს მას და შედეგებს წარუდგენს უმაღლესი საბჭოს ბიუროს;

ზ) 138-ე მუხლის მე-7 პუნქტი ამოღებულ იქნება.

თ) 147-ე მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ ემატება 2^1 პუნქტი:

2^1. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი არის უმაღლესი საბჭოს თანამდებობის პირი;

ი) 155-ე მუხლის:

ი.ა) მე-5 პუნქტს ემატება შემდეგი შინაარსის 5^1 პუნქტი:

5^1. უმაღლესი საბჭოს იმ წევრის ეთიკის საბჭოში წარდგენა, რომელიც არ არის გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში, ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, უმაღლესი საბჭოს წევრის პირადი განცხადების საფუძველზე;

ი.ბ) მე-6 პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

6. უმაღლესი საბჭოს ბიურო ცნობად იღებს ეთიკის საბჭოს შემადგენლობას, რაც ფორმდება უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებით;

კ) 156-ე მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

7. 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგად არჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, ეთიკის საბჭოში უმაღლესი საბჭოს იმ ფრაქციის წევრთა რაოდენობა, რომელსაც ჰყავს ყველაზე მეტი წევრი შესაძლებელია აჭარბებდეს ეთიკის საბჭოს წევრთა რაოდენობის ნახევარს.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

რეგლამენტის პროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ შედეგს იმ პირებზე, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

გ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში;

ასეთი არ არსებობს.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ;

ასეთი არ არსებობს.

დ) რეგლამენტის პროექტის ავტორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები - დავით გაბაიძე და ვლადიმერ მგალობლიშვილი.

ე) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები - დავით გაბაიძე და ვლადიმერ მგალობლიშვილი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის იმ მუხლების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტით შედის ცვლილება

მუხლი 9. უმაღლესი საბჭოს წევრის ზოგადი უფლება-მოვალეობები

1. უმაღლესი საბჭოს წევრი არის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ძირითადი სუბიექტი, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს:

ა) უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე, კომიტეტში (კომიტეტის სამუშაო ჯგუფში), ფრაქციაში ან დროებით კომისიაში, რეგლამენტით განსაზღვრულ საბჭოში, რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა ჯგუფებში;

ბ) ამომრჩევლებთან შეხვედრებით, მათი მიღებით, მათ მიერ დასმულ საკითხებზე რეაგირებით;

გ) სახელმწიფო, ავტონომიურ, მუნიციპალურ და სხვა ორგანოებთან და დაწესებულებებთან კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობით.

2. უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს:

ა) რეგლამენტით დადგენილი წესით აირჩიოს ან არჩეულ ან წარდგენილ იქნეს უმაღლესი საბჭოს თანამდებობებზე, უმაღლესი საბჭოს კომიტეტის, დროებითი კომისიის შემადგენლობაში, გაერთიანდეს ფრაქციაში, გადადგეს თანამდებობიდან ან გავიდეს ამ ორგანოებიდან/ გაერთიანებებიდან;

ბ) ისარგებლოს ყველა იმ ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

გ) კონტროლის განხორციელებისას:

გ.ა) კითხვით მიმართოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, მთავრობის წევრს, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, მიიღოს და შეაფასოს პასუხი;

გ.ბ) შეუფერხებლად შევიდეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა; შეხვდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით განსაზღვრულ და სხვა თანამდებობის პირებს;

გ.გ) უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა მის მიერ დასმული საკითხების განხილვაში;

დ) უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე, რეგლამენტით დადგენილი წესით:

დ.ა) დასვას საკითხი განსახილველად; მის მიერ დასმულ საკითხზე ან შეკითხვაზე მომხსენებლის ან სხდომის თავმჯდომარის მიერ პასუხის გაუცემლობის შემთხვევაში გამოხატოს საკუთარი აზრი და დააზუსტოს შეკითხვა;

დ.ბ) წარადგინოს შენიშვნები და წინადადებები უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებულ ყველა საკითხზე;

დ.გ) მონაწილეობა მიიღოს კამათში, შეკითხვა დაუსვას მომხსენებელს, თანამომხსენებელსა და სხდომის თავმჯდომარეს, მიიღოს და შეაფასოს პასუხები;

დ.დ) გააცნოს უმაღლეს საბჭოს მოქალაქეთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე წერილები და მიმართვები;

დ.ე) კამათში მონაწილეობის მიუღებლობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს გადასცეს თავისი გამოსვლის ტექსტი, აგრეთვე წერილობით ჩამოყალიბებული შენიშვნები და წინადადებები უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განსახილველი საკითხების თაობაზე. გამოსვლის ტექსტი, წერილობით ჩამოყალიბებული შენიშვნები და წინადადებები უნდა დაერთოს სხდომის ოქმს;

დ.ვ) გამოთქვას აზრი უმაღლესი საბჭოს მიერ შესაქმნელი ორგანოების, მათი პერსონალური შემადგენლობისა და იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურების შესახებ,

რომლებსაც ირჩევს, ამტკიცებს და რომელთა დანიშვნაზეც თანხმობას იძლევა უმაღლესი საბჭო;

ე) განახორციელოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, რეგლამენტითა და სხვა ნორმატიული აქტებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი;

ვ) გაეცნოს უმაღლესი საბჭოს სხდომის (სესიის), ბიუროს, დროებითი კომისიის აუდიო ჩანაწერს, ასევე კომიტეტის სხდომის აუდიოჩანაწერს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობა;

ბ) დაესწროს უმაღლესი საბჭოს პლენარულ, კომიტეტის, ფრაქციის, დროებითი კომისიის სხდომებს და მონაწილეობა მიიღოს მათ მუშაობაში;

გ) რეგლამენტით დადგენილი წესით უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მონაწილეობა მიიღოს საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში;

დ) რეგლამენტით დადგენილი წესით შეხვდეს მოქალაქეებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით რეაგირება მოახდინოს მოქალაქეთა წერილებსა და განცხადებებზე;

ე) ხელი შეუწყოს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის, მათ შორის, რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვას, ხოლო მათი დარღვევის შემთხვევაში სათანადო რეაგირება მოსთხოვოს უმაღლეს საბჭოს, მის თავმჯდომარეს ან შესაბამის კომიტეტს;

ვ) პირადი ინტერესებისათვის არ გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ან/და მასთან დაკავშირებული შესაძლებლობა;

ზ) პირადი ინტერესებისათვის არ გამოიყენოს და არ გაამჟღავნოს სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში მიღებული ან შექმნილი ინფორმაცია;

თ) დაიცვას სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ქცევის სტანდარტები და უმაღლესი საბჭოს წევრისთვის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი ეთიკის ნორმები.

4. უმაღლესი საბჭოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა დაწესებულების თანამდებობის პირი ვალდებულია შეუფერხებლად მიიღოს უმაღლესი საბჭოს წევრი მისი მოთხოვნით.

5. უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით შეავსოს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგინოს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი საჭიროების შემთხვევაში აანალიზებს სათანადო ორგანოების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას უმაღლესი საბჭოს წევრის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შესახებ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში საკითხს განსახილველად სვამს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე.

6. უმაღლესი საბჭოს წევრი, რომელიც არ არის გაერთიანებული ფრაქციაში, ითვლება უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ წევრად.

მუხლი 12. უმაღლესი საბჭოს წევრის სპეციალური შრომითი გარანტიები

1. უმაღლესი საბჭოს წევრი წელიწადში სარგებლობს 30 კალენდარული დღის ოდენობის შვებულებით, რომელიც, სურვილისამებრ, მიეცემა სესიებს შორის პერიოდში, მთლიანად ან 2 ნაწილად.

2. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უმაღლესი საბჭოს წევრის სამსახურებრივი საჭიროებისათვის გადაადგილებას უზრუნველყოფს უმაღლესი საბჭო.

3. უმაღლესი საბჭოს წევრი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე სარგებლობს დიპლომატიური პასპორტით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა.

მუხლი 17. უმაღლესი საბჭოს ორგანოების საქმიანობაში უმაღლესი საბჭოს ყოფილ წევრთა მონაწილეობის წესი

1. უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრის უმაღლესი საბჭოს შენობაში შესვლა მომდევნო ერთი მოწვევის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების პერიოდში ხდება დაუბრკოლებლად.

2. უმაღლესმა საბჭომ, მისმა ორგანოებმა და თანამდებობის პირებმა, შესაძლებელია, კანონშემოქმედებაში დაგროვილი გამოცდილების გაზიარების მიზნით, უზრუნველყონ უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრების მონაწილეობა უმაღლესი საბჭოს ორგანოების საქმიანობაში.

მუხლი 25. უმაღლესი საბჭოს ბიუროს უფლებამოსილებები

1. უმაღლესი საბჭოს მუშაობის ორგანიზებისთვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით დადგენილი შემადგენლობით იქმნება უმაღლესი საბჭოს ბიურო.

2. უმაღლესი საბჭოს ბიურო რეგლამენტით დადგენილი წესით:

ა) შეიმუშავებს და უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს პლენარული სხდომის დღის წესრიგის პროექტს. უზრუნველყოფს კანონის, დადგენილების, რეზოლუციის, მიმართვის, უმაღლესი საბჭოს მიერ მისაღები სხვა აქტის პროექტის, აგრეთვე კომიტეტის, დროებითი კომისიის დასკვნების საფუძველზე საკითხის უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანას;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განსახილველი კანონპროექტების შესახებ დასკვნებს, კომიტეტებისა და დროებითი კომისიების დასკვნებს, რეზოლუციებისა და მიმართვების პროექტებს;

გ) განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის დაჩქარებული ან/და გამარტივებული წესით განხილვის შესახებ;

დ) განიხილავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დამტკიცებისა და სხვა თანამდებობის პირთა თანამდებობაზე განწესების თაობაზე შესაბამისი კომიტეტების დასკვნებს;

ე) ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის მიერ წარმოდგენილ კომიტეტებში, დროებით კომისიებში და ეთიკის საბჭოში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს;

ვ) ამტკიცებს კომიტეტების, დროებითი კომისიების, კომიტეტებთან არსებული საკონსულტაციო საბჭოების დებულებებს;

ზ) რეგლამენტით დადგენილი წესით წყვეტს ფრაქციების რეგისტრაციის საკითხებს;

თ) იღებს გადაწყვეტილებას პირის ლობისტად რეგისტრაციის შესახებ;

ი) უზრუნველყოფს სხვა სახელმწიფოში წარგზავნილი უმაღლესი საბჭოს დელეგაციებისა და უმაღლესი საბჭოს წევრების ანგარიშების მოსმენას უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომაზე;

კ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ხაზინადართა საბჭოს გადაწყვეტილებებს;

ლ) ამტკიცებს ბიუროს მუშაობის რეგლამენტს;

მ) ამტკიცებს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის დებულებას;

ნ) რეგლამენტით დადგენილი წესით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს წევრის სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული თანხის ოდენობას;

ო) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით უმაღლესი საბჭოსათვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში განიხილავს და ამტკიცებს

უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის დეტალურ განწერას და ცვლილებები შეაქვს მასში. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის დეტალურ განწერაში ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია უმაღლეს საბჭოში დასაქმებული პირის დროებითი შრომისუუნარობის გამო გასაცემი თანხის გადატანასთან, ხორციელდება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. აღნიშნულ ინფორმაციას უმაღლესი საბჭოს ბიურო ცნობად იღებს უახლოეს სხდომაზე, ხოლო ცვლილება აისახება უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის დეტალურ განწერაში;

პ) იღებს გადაწყვეტილებებს უმაღლესი საბჭოს და მისი მუშაობის ცალკეულ ორგანიზაციულ საკითხებზე;

ჟ) ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ლოგოს და მისი გამოყენების წესს;

რ) ეთიკის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს ეთიკის საბჭოს დებულებას;

ს) ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ცალკეული წევრებისა და უმაღლესი საბჭოს დელეგაციების საზღვარგარეთ მივლინებაში წარგზავნის წესს;

ს[1]) ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის სამოქმედო გეგმას;

ტ) ახორციელებს რეგლამენტითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 88. წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში წარდგენილი კანონპროექტების განხილვის წესი

1. ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს კომიტეტები, უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომიდან არაუგვიანეს 6 თვისა ადგენენ წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენილ იმ კანონპროექტთა ნუსხას (წამყვანი კომიტეტების მიხედვით), რომელთა განხილვის პროცედურის გაგრძელება მიზანშეწონილად მიაჩნიათ, და მას განსახილველად წარუდგენენ უმაღლესი საბჭოს ბიუროს. ბიურო ამ საკითხს გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომას.

2. უმაღლესი საბჭო დადგენილებით იღებს გადაწყვეტილებას წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენილი კანონპროექტების განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის თაობაზე.

3. კანონპროექტის განხილვის პროცედურის გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ინიციატორად ჩაითვლება შესაბამისი წამყვანი კომიტეტი. საჭიროების შემთხვევაში უმაღლესი საბჭოს ბიურო უფლებამოსილია თვითონ განსაზღვროს წამყვანი კომიტეტი.

4. ის კანონპროექტები, რომლებზედაც უმაღლესი საბჭო არ მიიღებს გადაწყვეტილებას მათი განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის თაობაზე, უმაღლესი საბჭოდან გათხოვილად ჩაითვლება.

მუხლი 107. უმაღლესი საბჭოს წევრთა მიერ ინიციირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის პროექტები

უმაღლესი საბჭოს ბიურო უმაღლესი საბჭოს წევთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტის მიერ წარდგენილ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის პროექტებს ხელმოწერების ნამდვილობის შემოწმების მიზნით გადასცემს უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს, რომელიც 1 კვირის ვადაში ამოწმებს მას და შედეგებს წარუდგენს უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

მუხლი 138. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის ფორმირება

1. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტის ფორმირებას და მთავრობისათვის წარდგენას უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს, არაუგვიანეს საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტი მტკიცდება უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, დადგენილებით. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტში უმაღლესი საბჭოსათვის

გათვალისწინებული ასიგნებების ჯამური მოცულობის შემცირება შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საბჭოს წინასწარი თანხმობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში დადგენილების მიუღებლობის შემთხვევაში, მთავრობის თავმჯდომარის მიერ უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტში უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტი განისაზღვრება უმაღლესი საბჭოსათვის მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების შესაბამისად.

3. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტის ფორმირებას, საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტი ფორმირდება კომიტეტების, ფრაქციების, ხაზინადართა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს აპარატის წინადადებების საფუძველზე და ეგზავნება საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტს.

4. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტს, უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტის სახით, თავის დასკვნასთან ერთად არაუგვიანეს 1 ივნისისა საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი განსახილველად გადასცემს უმაღლესი საბჭოს ბიუროს, რომელსაც დადგენილების პროექტი განსახილველად შეაქვს პლენარული სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

5. რესპუბლიკურ ბიუჯეტში უმაღლესი საბჭოსათვის გათვალისწინებული ასიგნებების ჯამური მოცულობის შემცირება წინა და მიმდინარე წლების შესაბამის მოცულობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საბჭოს წინასწარი თანხმობით – დადგენილებით.

6. უმაღლესი საბჭოსათვის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ჯამური მოცულობის შემცირების თაობაზე შესაბამის წინადადებებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დადგენილების პროექტის მომზადებისა და უმაღლესი საბჭოს ბიუროსათვის წარდგენის მიზნით უგზავნის საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტს. კომიტეტის მიერ მომზადებული დადგენილების პროექტი გადაეცემა უმაღლესი საბჭოს ბიუროს, რომელსაც დადგენილების პროექტი შეაქვს პლენარული სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

7. უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს უმაღლესი საბჭოსათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი გადანაწილების პროცენტული ოდენობის მიხედვით - უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებით.

8. შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილებას უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წარდგინების საფუძველზე იღებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 147. უმაღლესი საბჭოს აპარატის ხელმძღვანელობა

1. უმაღლესი საბჭოს აპარატს ხელმძღვანელობს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.

2. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი არ შეიძლება იყოს უმაღლესი საბჭოს წევრი.

3. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის უფლებამოსილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადას. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის დანიშვნის შესახებ შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის უფლებამოსილების ვადად შესაძლებელია მითითებული იყოს კონკრეტული ვადა, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის ფარგლებში.

4. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა;

ბ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება;

გ) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) მის მიმართ სასამართლოს საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

ე) სახელმწიფო ან საჯარო სამსახურში სხვა თანამდებობაზე დანიშვნა;

ვ) პერიოდული, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შემოწმების შედეგად ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დადასტურება, გარდა მის მიერ მისი სამკურნალო მიზნით მოხმარების შემთხვევისა, აგრეთვე ასეთი შემოწმებისთვის თავის არიდება;

ზ) გარდაცვალება;

თ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ან უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის ინიციატივა.

5. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ან უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის ინიციატივით უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტამდე 1 თვით ადრე უნდა ეცნობოს შესაბამისად უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ან უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს. თუ უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ინიციატორია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს ეძლევა კომპენსაცია 1 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

6. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, შეიძლება ჰყავდეს 1 მოადგილე. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილის თანამდებობის დაშვების საკითხს წყვეტს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

7. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილეს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილის უფლებამოსილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადას. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილის დანიშვნის შესახებ შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილის უფლებამოსილების ვადად შესაძლებელია მითითებული იყოს კონკრეტული ვადა, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის ფარგლებში.

8. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა;

ბ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება;

გ) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) მის მიმართ სასამართლოს საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

ე) სახელმწიფო ან საჯარო სამსახურში სხვა თანამდებობაზე დანიშვნა;

ვ) პერიოდული, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შემოწმების შედეგად ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დადასტურება, გარდა მის მიერ მისი სამკურნალო მიზნით მოხმარების შემთხვევისა, აგრეთვე ასეთი შემოწმებისთვის თავის არიდება;

ზ) გარდაცვალება;

თ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ან უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილის ინიციატივა.

9. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ან უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილის ინიციატივით აპარატის უფროსის მოადგილისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტამდე 1 თვით ადრე უნდა ეცნობოს შესაბამისად უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ან უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილეს. თუ უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ინიციატორია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილეს ეძლევა კომპენსაცია 1 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

10. აპარატის უფროსის მოადგილის ფუნქციებს ბრძანების საფუძველზე განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 155. ეთიკის საბჭო და უმაღლესი საბჭოს წევრის ეთიკის ნორმები

1. უმაღლესი საბჭოს წევრის ქცევის ეთიკური სტანდარტები განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს დადგენილებით.

2. უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია ხელი შეუწყოს უმაღლესი საბჭოს წევრის ეთიკის ნორმების დაცვას.

3. უმაღლესი საბჭო თავისი უფლებამოსილების ვადით, უფლებამოსილების ცნობიდან 2 თვის ვადაში დადგენილებით ქმნის ეთიკის საბჭოს. ამ დადგენილებაში მითითებული უნდა იყოს ეთიკის საბჭოს წევრთა რაოდენობა. ეთიკის საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება ფრაქციათა წარმომადგენლობისა და უმაღლესი საბჭოს იმ წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში. ამასთანავე, ეთიკის საბჭოში უმაღლესი საბჭოს იმ ფრაქციის წევრთა რაოდენობა, რომელსაც ჰყავს ყველაზე მეტი წევრი არ უნდა აჭარბებდეს ეთიკის საბჭოს წევრთა რაოდენობის ნახევარს.

4. ეთიკის საბჭოში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს ეთიკის საბჭოს შექმნის შესახებ დადგენილების მიღებიდან 1 კვირის ვადაში განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი და ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ბიურო. ფრაქციის მიერ ეთიკის საბჭოს წევრად წარდგენილი პირი, წელიწადში ერთხელ ექვემდებარება როტაციას. ამ ვადის გასვლისთანავე შესაბამისი ფრაქცია ვალდებულია ამ პუნქტით გათვალისწინებული პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დაცვით წარადგინოს ახალი წევრი.

5. შესაბამისი ფრაქციები პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების შესაბამისად ეთიკის საბჭოს წევრებად დასახელებულ პირებს ამ კვოტების დამტკიცებიდან 1 კვირის ვადაში წარუდგენენ უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

6. უმაღლესი საბჭო ცნობად იღებს ეთიკის საბჭოს შემადგენლობას, რაც ფორმდება საოქმო ჩანაწერით.

7. ეთიკის საბჭოს საქმიანობის წესი განისაზღვრება და ორგანიზაციული საკითხები წესრიგდება უმაღლესი საბჭოს წევრის ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ უმაღლესი საბჭოს დადგენილებითა და ეთიკის საბჭოს დებულებით.

8. ეთიკის საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს უმაღლესი საბჭოს აპარატი.

მუხლი 156. გარდამავალი დებულებები

1. უმაღლესი საბჭოს მომდევნო არჩევნებში არჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობამდე ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ უმაღლესი საბჭოს წევრებს უფლება აქვთ შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია.

2. რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ამოქმედებამდე, უმაღლესი საბჭოს წევრის და უმაღლესი საბჭოს თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული უმაღლესი საბჭოს საშტატო ნუსხით და დგინდება არაუმეტეს უმაღლესი საბჭოს წევრისა და უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირებისთვის 2017 წელს გაცემული საშუალო თვიური შრომის ანაზღაურების მიხედვით.

3. რეგლამენტის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის ამოქმედებამდე უმაღლესი საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის წარდგენა და არჩევა ხდება 2005 წლის 24 მარტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. რეგლამენტის ამოქმედებისთანავე უმაღლესი საბჭოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილებას იძენს ამ რეგლამენტის ამოქმედების დროისათვის მოქმედი უმაღლესი საბჭოს ფრაქციის მდივანი.

5. რეგლამენტის 147-ე მუხლის მე-6 პუნქტის ამოქმედებამდე უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილის თანამდებობის დაშვებისა და რაოდენობის საკითხი განისაზღვრება 2005 წლის 24 მარტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად.

6. ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობამდე, გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება ამ რეგლამენტის ამოქმედებამდე არსებული წესის შესაბამისად.